აღმოსავლეთ პარტნიორობა
სიტყვარი

აღმოსავლეთ პარტნიორობით დაინტერესებული ადამიანებისთვის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის საინფორმაციო ცენტრმა მოამზადა საჭირო ტერმინების სიტყვარი. აღმოსავლეთ პარტნიორობა ევროკავშირის ყველაზე ახალი საგარეო პოლიტიკური მიმართულებაა. მისი მიზანია პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა და მათი ევროკავშირთან დაახლოების პროცესის გაადვილება.

www.enpi-info.eu

წინამდებარე პუბლიკაცია არ გამოხატავს ევროპის თანამეგობრობის ან ევროკავშირის ინსტიტუტების ოფიციალურ მოსაზრებებს. ევროპის თანამეგობრობა არ არის პასუხისმგებელი სიტყვარის შინაარსზე.

ასოცირების შესახებ შეთანხმებები - Association agreements -ახალი ტიპის საკონტრაქტო შეთანხმებებია, რომლებიც დღევანდელ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებს ჩაანაცვლებს და საგრძნობლად გააუმჯობესებს ევროკავშირსა და მის ექვს აღმოსავლეთ ევროპელ პარტნიორს შორის ურთიერთობებს. ასოცირების შესახებ შეთანხმებების საშუალებით განმტკიცდება პოლიტიკური ურთიერთობები და გაძლიერდება საგარეო და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა. ახალი შეთანხმებები უფრო მეტად დააახლოებს პარტნიორებს ევროკავშირთან სტანდარტების და კანონმდებლობის, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის, სფეროში. გათვალისწინებულია, აგრეთვე, მჭიდრო თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში. ასოცირების შესახებ შეთანხმებები იმ დოკუმენტების დახმარებით განხორციელდება, რომლებიც ამჟამინდელ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმებს ჩაანაცვლებს. ამ შეთანხმებებზე მოლაპარაკება ხდება დაინტერესებულ პარტნიორებთან, რომლებსაც შესწევთ უნარი, შეასრულონ შეთანხმებებით გათვალისწინებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვალდებულებები. ასოცირების შესახებ შეთანხმებებზე მოლაპარაკების დაწყების ძირითადი წინაპირობაა საგრძნობი წარმატების მიღწევა დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების სფეროებში.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურული პროგრამა - Eastern Partnership Culture Programme -აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამა ნაწილია აღმოსავლეთ პარტნიორობის თემატური პლატფორმისა სახელწოდებით ,,ადამიანებს შორის კონტაქტები". ის აძლიერებს კულტურის, როგორც რეფორმების ერთ–ერთი მამოძრავებელი ძალის, როლს და ხელს უწყობს სხვადასხვა საზოგადოებას შორის ტოლერანტული განწყობის ჩამოყალიბებას და სოციალური სოლიდარობის განვითარებას. პროგრამა ხელს უწყობს ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლას კულტურის სფეროში მოღვაწე სუბიექტებს შორის როგორც რეგიონის შიგნით, ისე ევროკავშირთან. ის ხელს უწყობს, ასევე, რეგიონული ინიციატივების განვითარებას და ამით დადებითი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ განვითარებაში, სოციალურ ჩართულობაში, კონფლიქტების მოგვარებაში და კულტურათაშორის დიალოგში.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი - Eastern Partnership Civil Society Forum (CSF)
ფორუმის მიზანია საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის კონტაქტების ხელშეწყობა და მათი ხელისუფლებასთან დიალოგის წახალისება მინისტრთა შეხვედრებში წვლილის შეტანის და მათი საქმიანობის მონიტორინგის გზით, ასევე მრავალმხრივი *თემატური პლატფორმების* საშუალებით. პლატფორმა ხელს უწყობს დიალოგს, ქსელების შექმნას და გამოცდილების გაზიარებას (ევროკავშირში ინტეგრაციის ჩათვლით) თვით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების ხელისუფლებებს შორის. აღმოსავლეთ სამეზობლოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში მონაწილეობენ ევროკავშირი და მესამე ქვეყნები, ევროკომისია, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი და საერთაშორისო ორგანიზაციების/ქსელების წარმომადგენლები.

ბაქოს ინიციატივა: ბაქოს ინიციატივა პოლიტიკური დიალოგია, რომელიც მიზნად ისახავს, განმტკიცდეს თანამშრომლობა ევროკავშირსა და შავი და კასპიის

ზღვისპირა ქვეყნებს, ასევე მათ მეზობელ ქვეყნებს შორის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში. აღნიშნულ ინიციატივას 2004 წლის ნოემბერში ბაქოში ჩაეყარა საფუძველი. ენერგეტიკის სფეროში ამ დიალოგს მოჰყვა 2006 წლის 30 ნოემბერს ასტანაში ენერგეტიკის სფეროს მინისტრთა დეკლარაციის მიღება. დეკლარაცია შეიცავდა გეგმას ოთხი პრიორიტეტული სფეროსთვის. ეს სფეროებია: ენერგეტიკის ბაზრების დაახლოება, ენერგოუსაფრთხოება, მდგრადი ენერგოგანვითარება და ინვესტიციების მოზიდვა. თითოეულ ამ პრიორიტეტზე სამუშაოდ ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფები.

დაძმობილება - TWINNING

ეს არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ერთ–ერთი მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს ევროკავშირს, გააგზავნოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ადმინისტრაციაში მომუშავე ოფიციალური პირები პარტნიორი ქვეყნების ადმინისტრაციებში სამუშაოდ, რათა ერთობლივად შეძლონ კონკრეტულ სექტორში *acquis communautaire*–ის *(კანონთა კრებულის)* განხორციელებაზე მუშაობა. ამ მექანიზმს საფუძვლიანი მომზადება, ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი ძალისხმევა და პარტნიორი ქვეყნის ერთგული დახმარება სჭირდება.

ევროკავშირის *acquis communautaire*

ევროკავშირის *acquis communautaire – კანონთა კრებული* – შეიცავს ევროკავშირის სახელმწიფოებისთვის საერთო უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც ამ სახელმწიფოებს აკავშირებს. ის გამუდმებით იხვეწება და მოიცავს:

- ევროკავშირის შეთანხმებების შინაარსს, პრინციპებსა და პოლიტიკურ მიზნებს;
- შეთანხმებების განხორციელების პროცესში მიღებულ კანონმდებლობას და მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;
- ევროკავშირის მიერ მიღებულ დეკლარაციებს და რეზოლუციებს;
- საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;
- სამართალთან და საშინაო საკითხებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;
- გაერთიანების მიერ დადებულ ხელშეკრულებებს და იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა დადეს ერთმანეთთან ევროკავშირის მოღვაწეობის სფეროში.

ევროკავშირის *acquis*–თან დაახლოება არის ევროკავშირის წევრი ან ევროკავშირთან ასოცირებული სახელმწიფოს კანონმდებლობაში ევროკავშირის კანონების გადმოტანა და ასახვა. ამ კანონებს ხშირად *acquis communautaire–ს,* ანუ გაერთიანებულ კანონთა კრებულს, უწოდებენ. ამ პროცესს შეიძლება ასევე დავარქვათ ეროვნულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზება ან მისი შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის *acquis*–თან. ამგვარი დაახლოება, როგორც წესი, არის ევროკავშირში ინტეგრაციისა და მასში გაწევრიანების პროცესის შედეგი, თუმცა ის შესაძლოა იყოს ასევე შედეგი ევროკავშირში მნიშვნელოვანი ხარისხის ინტეგრაციისა გაწევრიანების გარეშე.

ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი - European Neighbouhood and Partnership Instrument (ENPI)

2007 წლის 1 იანვრიდან ევროგაერთიანების დახმარების ინსტრუმენტების რეფორმირების ფარგლებში ,,ტასისი" (აღმოსავლეთით), ,,მედა" (დასავლეთით) და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები ერთი საერთო – ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტით —შეიცვალა. ამ ინსტრუმენტის მიზანია მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და ევროკავშირის სტანდარტებთან და პოლიტიკასთან დაახლოება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული შეთანხმებული პრიორიტეტების ხელშეწყობის გზით (რუსეთისთვის კი სტრატეგიულ პარტნიორობას, რომელიც ადრე ,,ტასისის" პროგრამით ხორციელდებოდა). 2007–2013 წლების საბიუჯეტო პერიოდისთვის ევროკავშირს განსაზღვრული აქვს 12 მილიარდი ევროს ოდენობის საბიუჯეტო დახმარება, რომელიც პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმებს მოხმარდება.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა - European Neighbourhood Policy (ENP)

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირში 2004 წელს 10 ახალი ქვეყნის შესვლის შემდეგ შემუშავდა და მისი მიზანი იყო ევროპაში ახალი გამყოფი ხაზების თავიდან აცილება. ამ პოლიტიკის მეშვეობით ევროკავშირი სთავაზობს თავის მეზობლებს პრივილეგირებულ ურთიერთობებს, რომლებიც ეფუძნება ერთობლივ სწრაფვას საერთო ფასეულობებისაკენ (დემოკრატია და ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მდგრადი განვითარება). ევროპის სამეზობლო პოლიტიკა სცილდება არსებული ურთიერთობების საზღვრებს და პარტნიორებს რეფორმების გზით უფრო ღრმა პოლიტიკურ ურთიერთობებს და ეკონომიკურ ინტეგრაციას სთავაზობს. სწორედ ეს რეფორმებია მშვიდობის, სტაბილურობისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის საშუალება. ამ ურთიერთობების დონე განისაზღვრება იმით, თუ რამდენად გაიზიარებენ პარტნიორები ამ ღირებულებებს. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა მოიცავს ეროკავშირის უშუალო მეზობელ ქვეყნებს, რომლებსაც მასთან სახმელეთო თუ საზღვაო საზღვარი აქვთ. ეს ქვეყნებია: ალჟირი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, ბელარუსი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მოლდოვა, მაროკო, პალესტინის ოკუპირებული ტერიტორია, სირია, ტუნისი და უკრაინა; მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ევროკავშირის მეზობელია, მათ შორის მეზობლობა სტრატეგიული პარტნიორობის საფუძველზე ვითარდება და ოთხ ,,საერთო სივრცეს " მოიცავს.

თემატური პლატფორმების მუშაობაში მონაწილე ჯგუფები

ექსპერტებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფები თემატურ პლატფორმებშია გაერთიანებული. ჯგუფები მუდმივია ან დროებითი და მათი შეხვედრები პლატფორმების საჭიროებებით არის განპირობებული. არ არის აუცილებელი, რომ მათი შეხვედრა პლატფორმების შეხვედრების პარალელურად მიმდინარეობდეს. ჯგუფები ამზადებენ ანგარიშებს პლატფორმის ყოველი მომდევნო შეხვედრისათვის.

- *საზღვრის ინტეგრირებული მართვის ჯგუფი*

  15 ოქტომბერს უკრაინის ქალაქ ოდესაში ჩატარდა აღმოსავლეთ სამეზობლოს საზღვრის ინტეგრირებული მართვის საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც განიხილებოდა კომისიის კონცეფცია საზღვრის ინტეგრირებული მართვის

ფლაგმანი ინიციატივის შესახებ. ამ შეხვედრას მოჰყვა ევროკავშირის საზღვრის მართვის დამხმარე მისიის ვიზიტი მოლდოვასა და უკრაინაში. საზღვრის ინტეგრირებული მართვის საბჭომ სრულად მიიღო კომისიის კონცეფცია საზღვრის ინტეგრირეული მართვის საფლაგმანო ინიციატივის შესახებ და დასახა ტრენინგის და პოტენციალის გაზრდისკენ მიმართული კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც ამ ინიციატივების ფარგლებში განხორციელდება.

საზღვრის ინტეგრირებული მართვის ფლაგმანი ინიციატივის ფარგლებში ევროკავშირსა და აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებს შორის მოხდება წარმატებული გამოცდილების გაზიარება ტრენინგის და პოტენციალის გაზრდის სფეროში და, ასევე, ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების საზღვრებზე ჩატარებული საცდელი პროექტების სფეროში.

მობილურობის და უსაფრთხოების პაქტები - Mobility and security pacts

მობილურობის და უსაფრთხოების პაქტებს ხელი ეწერება ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის და საშუალებას აძლევს მათ მოქალაქეებს, ერთის მხრივ, უფრო იოლად იმოგზაურონ ევროკავშირში და, მეორეს მხრივ, იზრუნონ ისეთი საკითხების მოგვარებაზე, როგორიცაა კორუფცია, ორგანიზებული დანაშაული და არალეგალური მიგრაცია. ამ პაქტებმა, სწორად განხორციელების შემთხვევაში, დროთა განმავლობაში ხელი უნდა შეუწყოს ვიზების ლიბერალიზების პროცესს, გარდა ამისა, თავშესაფრის მინიჭების სისტემები ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი უნდა გახადონ და დაამკვიდრონ საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრუქტურები.

მრავალმხრივი თანამშრომლობა – Multilateral track

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში დასახული მიზნების განხორციელება *ორმხრივი და მრავალმხრივი* გზებით ხდება. მრავალმხრივი გზა წარმოადგენს ჩარჩოს, რომლის ფარგლებში ევროკავშირი და აღმოსავლეთ პარტნიორები ერთად, ჯგუფურად მუშაობენ საერთო ამოცანების გადაჭრაზე (განსხვავებით ორმხრივი ფორმატისგან, სადაც ევროკავშირი და პარტნიორი პირისპირ არიან). მრავალმხრივი ფორმატი ემსახურება აღმოსავლეთ სამეზობლოს მიზნების განხორციელებას ოთხი პრიორიტეტული *(თემატური) პლატფორმის* და რამდენიმე *ფლაგმანი ინიციატივის* საშუალებით.

ორმხრივი თანამშრომლობა – Bilateral track

აღმოსავლეთ პარტნიორობით გათვალისწინებული ამოცანების მიღწევა ხდება ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის საშუალებით. ორმხრივი თანამშრომლობის მიზანია ევროკავშირსა და თითოეულ აღმოსავლეთ პარტნიორს შორის ურთიერთობის გაღრმავება. ამის მიღწევა ხდება ორმხრივი შეთანხმებების, მაგალითად, ასოცირების შესახებ შეთანხმების, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანმხების, ვიზების გამარტივების შესახებ ორმხრივი დიალოგის, სხვადასხვა სფეროში (ეკონომიკა, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, კვლევა და ა. შ.) უფრო მჭიდრო ორმხრივი თანამშრომლობის და ტექნიკური დახმარების საშუალებით. აღმოსავლეთ პარტნიორობა არსებულ

ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებთან ერთად განხორციელდება. მისი განხორციელება პარტნიორებს შორის განსხვავებებზე და მათთვის შემუშავებულ *პირობებზეა* დამოკიდებული.

პარტნიორი ქვეყნების დაახლოება ევროკავშირთან - Convergence of Partner Countries with the EU

არის სულ უფრო მზარდი მსგავსება ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყანას შორის ამ უკანასკნელის მიერ ევროკავშირის სტანდარტებთან თანდათანობითი ინტეგრაციის და ევრკოკავშირის სტანდარტების და პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროს კანონმდებლობის მიღების წყალობით. აღმოსავლეთის სამეზობლოს ფარგლებში დაახლოების მიღწევა შესაძლებელი იქნება სხვადასხვა შეთანხმების წყალობით (ასოცირების შესახებ შეთანხმებები, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები, ვიზების გამარტივების შესახებ შეთანხმებები) სექტორული პოლიტიკის, მზარდი ეკონომიკური ინტეგრაციის და რეგულირების სფეროს დაახლოებით. ამის მისაღწევად აღმოსავლეთის სამეზობლო ოთხ თემატურ პლატფორმას და სტრუქტურიზებული დაახლოების პროცესს ეყრდნობა, რომელსაც ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური განვითარების პროგრამა (CIB) პროგრამები უწყობს ხელს.

პირობების დაყენების პრინციპი - Conditionality

პირობებების დაყენების პრინციპი ერთ–ერთია იმ სამ პრინციპთაგან, რომლებიც აღმოსავლეთ პარტნიორობას უდევს საფუძვლად (დანარჩენი ორი პრინციპია დიფერენციაცია და ერთობლივი პასუხისმგებლობა). ეს პრინციპი თადაპირველად ევროკავშირის გაფართოების პროცესში გამოიყენებოდა. ის გულისხმობს ევროკავშირის მიერ მესამე ქვეყნისათვის რიგი პირობების დაყენებას (ან სანქციების დაწესებას) გარკვეული სარგებლის მიღების ან რეფორმების განხორციელების სანაცვლოდ. მაგალითად, ასოცირების შესახებ შეთანხმებების ხელმოწერის პირობად დაყენებული იქნება პარტნიორი ქვეყნის უნარი, საგრძნობ წარმატებას მიაღწიოს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების სფეროებში.

პოლიტიკური (თემატური) პლატფორმები - Policy (thematic) platforms

აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში შემუშავდა ოთხი თემატური პლატფორმა. სწორედ პლატფორმა განსაზღვრავს მიზნებსა და ამოცანებს ყოველი კონკრეტული პოლიტიკის სფეროში. პლატფორმები ღია დისკუსიების და მიღწეული წარმატების განხილვის შესაძლებლობასაც იძლევა, რადგან მის მუშაობაში ჩართულნი არიან სამინისტროების და უწყებების (მაღალი რანგის მოხელეების დონეზე), პარლამენტების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების (ეუთო, ევროპის საბჭო და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია), საერთაშორსო საფინანსო ინსტიტუტების, კერძო სექტორის, ეკონომიკური და სოციალური პარტნიორების წარმომადგენლები. თემატური პლატფორმების პროექტებში, საქმიანობაში და შეხვედრებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მესამე ქვეყნებზეც გავრცელდეს. ყოველი თემატური პლატფორმის მუშაობას ეხმარება კონკრეტულ სფეროში სპეციალიზებული რამდენიმე საბჭო. ქვემოთ ჩამოთვლილია ოთხი თემატური პლატფორმა:

- *დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა*
  ეს თემატური პლატფორმა ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების გატარებას და ძირითად აქცენტს აკეთებს სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე (საარჩევნო სტანდარტები, მედიის რეგულირება და ანტიკორუფციული ღონისძიებები) და ეფექტურ სახელმწიფო სტრუქტურებზე. ეს ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების უფრო აქტიურ ჩართვას პროცესში. პლატფორმის ფარგლებში ყურადღება გადატანილია პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოებაზე, სტაბილურობის მხარდაჭერაზე, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე ნდობის აღდგენის და ადრეული შეტყობინების მრავალმხრივი მექანიზმების საშუალებით.

- *ეკონომიკური ინტეგრაცია და ეროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოება*
  ეს პლატფორმა პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციისა და მარეგულირებელი სფეროს დაახლოებისკენაა მიმართული. ამ ამოცანის მიღწევა უნდა მოხდეს ევროკავშირსა და პარტნიორებს და თვით პარტნიორებს შორის გრძელვადიანი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების (ან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ რეგიონული შეთანხმებების) საშუალებით.

- *ენერგოუსაფრთხოება*
  ეს პლატფორმა ორიენტირებულია ენერგიის მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების, ტრანზიტის, დივერსიფიცირების და ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირის საკითხების მოგვარებაზე. პლატფორმის ფარგლებში გათვალისწინებულია ენერგეტიკის სფეროში პარტნიორთა პოლიტიკისა და კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის პრაქტიკასა და *acquis*–თან. ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში სამომავლო ენერგოკრიზისის თავიდან ასაცილებლად პლატფორმა მიზნად ისახავს მზარდ დიალოგს ენერგოუსაფრთხოების საკითხებზე და ენერგოკრიზისისთვის მზადყოფნას ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების ქსელის (Network of Energy Security Correspondents), გაზის საკოორდინაციო ჯგუფის, ასევე ნავთობის მიწოდების ჯგუფის და ენერგეტიკული თანამეგობრობის მონაწილეობით.

- *ადამიანებს შორის კონტაქტები*
  ეს პლატფორმა ითვალისწინებს კონტაქტების განმტკიცებას ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეებს შორის. ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება ახალგაზრდებზე და საინფორმაციო საზოგადოებისა და მედიის განვითარებაზე. ადამიანებს შორის კონტაქტები გულისხმობს კულტურულ თანამშრომლობას, განათლებას და კვლევას. ადამიანებს შორის კონტაქტები არის ფაქტორი, რომელიც განაპირობებს პარტნიორ ქვეყნებში ცვლილებების განხორციელებას.

- *მაღალი რანგის ოფიციალური პირების შეხვედრები*
  ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების მაღალი რანგის ოფიციალური პირები, რომლებიც რეფორმების პროცესში არიან ჩართულნი

პოლიტიკის შესაბამისი სფეროს (იხ. *პოლიტიკის* ოთხი *(თემატური) პლატფორმა)* ფარგლებში, სულ მცირე წელიწადში ორჯერ იკრიბებიან. ამ შეხვედრების მიზანია, განისაზღვროს თემატური პლატფორმების ამოცანები და განხილული იქნეს მიღწეული წარმატებები. მაღალი რანგის ოფიციალური პირები ანგარიშს აბარებენ საგარეო საქმეთა მინისტრებს ყოველწლიურ შეხვედრაზე. საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრები არის მესამე დონე ევროპის სამეზობლოს მრავალმხრივი თანამშრომლობისა. ეს შეხვედრები მთავრობის და სახელმწიფოს მეთაურებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრებზე რანგით დაბალი შეხვედრებია.

პრაღის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ერთობლივი დეკლარაცია – Joint Declaration of the Prague Eastern Partnership Summit

2009 წლის 7 მაისს პრაღის სამიტზე ევროკავშირის და აღმოსავლეთ ევროპის ექვსი პარტნიორი ქვეყნის სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურებმა მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აღმოსავლეთ პარტნიორობას. ამ ახალი პოლიტიკის მიზანია ურთიერთობების გაღრმავება ევროკავშირსა და ექვს მეზობელ ქვეყანას შორის (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა). აღმოსავლეთ პარტნიორობა ემყარება არსებული პოლიტიკის – ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და ,,შავი ზღვის სინერგია“ – პრინციპების გაზიარებას და ავსებს მას. აღმოსავლეთ პარტნიორობა ითვალისწინებს ახალი ტიპის ასოცირების შესახებ შეთანხმებების დადებას, ევროკავშირის ეკონომიკაში გრძელვადიან ინტეგრირებას, *ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებს*, ევროკავშირში უფრო გაადვილებულ მოგზაურობას იმ შემთხვევაში, თუკი უსაფრთხოების საპასუხო ზომები იქნება გატარებული, ენერგოუსაფრთხოების უფრო ინტენსიურ მექანიზმებს და გაზრდილ ფინანსურ დახმარებას. ამასთან, აღმოსავლეთ სამეზობლო მოიცავს ახალ მრავალმხრივ განზომილებას, რომელიც უზრუნველყოფს პარტნიორების მიერ პრობლემებთან ერთობლივად გამკლავებას *თემატური პლატფორმების* და *ფლაგმანი ინიციატივების* საშუალებით.

პროგრამა ,,ინოგეიტი“ (INOGATE): ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა ,,ინოგეიტი“ (წამოწყებული იქნა 1995 წელს) ენერგეტიკის სფეროში რეგიონული თანამშრომლობის პროგრამაა, რომელიც მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ენერგეტიკის სფეროში ბაქოს ინიციატივის ფარგლებში და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში დასახული პრიორიტეტების განხორციელებას. საქმიანობის დაწყების დღიდან 2009 წლამდე პროგრამამ 50–ზე მეტი პროექტის განხორციელებას შეუწყო ხელი. დახმარება ძირითადად შემდეგ სფეროებზეა მიმართული: ენერგეტიკულ პროექტებში საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებათა მიერ ინვესტირების სტიმულირება; სტრატეგიული ენერგეტიკული და სატრანსპორტო ურთიერთდამაკავშირებელი ხაზების ხელშეწყობა; პრიორიტეტული მნიშვნელობის ისეთი საქმიანობის (პროექტების) ხელშეწყობა, რომლებიც მიზნად ისახავს გაზის მნიშვნელოვანი რაოდენობით დანაკარგების შემცირებას; გაზის და ნავთობის, ასევე ელექტროენერგეტიკის სფეროებში პარტნიორი ქვეყნების სტანდარტების ჰარმონიზება ევროკავშირის სტანდარტებთან; ენერგეტიკის რეგიონული ბაზრების კონვერგენციის ხელშეწყობა; ენერგეტიკის სფეროს რეგულირების უნარის განვითარება; ენერგოეფექტურობისა და

განახლებადი ენერგიის გამოყენების ხელშეწყობა. პროგრამა ,,ინოგეიტს“ ჰყავს სამდივნო უკრაინაში (კიევში) ოფისით საქართველოში (თბილისში), აქვს ასევე ქვეყნების კოორდინატორთა ქსელი.

პროგრამა ,,ტრასეკა“ (TRACECA)

ეს არის ტექნიკური დახმარების პროგრამა ევროპასა და აზიას შორის, შავი ზღვის გასწვრივ, სამხრეთ კავკასიის, კასპიისზღვისპირეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების გავლით სატრანსპორტო დერეფნის უზრუნველსაყოფად. პროგრამა ,,ტრასეკამ“, რომელიც 1993 წელს იქნა წამოწყებული, ტექნიკური დახმარების 62 და 14 საინვესტიციო პროექტი დააფინანსა.

,,ტრასეკა“ მიზნად ისახავს პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობას: იგი ცდილობს, უფრო ხელმისაწვდომი გახადოს ამ ქვეყნებისთვის ევროპული და მსოფლიო ბაზრები ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტების მეშვეობით. პროგრამას თავისი წვლილი შეაქვს პარტნიორ ქვეყნებს შორის რეგიონულ თანამშრომლობაში და კატალიზატორის როლს ასრულებს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისგან და კერძო ინვესტორებისგან დახმარების მოზიდვაში.

საგარეო საქმეთა მინისტრების ყოველწლიური შეხვედრები – Annual meetings of Ministers of Foreign Affairs

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები (ევროკავშირის წევრი ქვეყნების და აღმოსავლეთ სამეზობლოს ექვსი პარტნიორი ქვეყანა) ყოველ გაზაფხულს ხვდებიან ერთმანეთს. ეს ყოველწლიური შეხვედრები, აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნების *სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა წელიწადში ორჯერ გამართულ შეხვედრებთან* ერთად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. ამ შეხვედრებზე სამეზობლოს საგარეო საქმეთა მინისტრები ოთხი *თემატური პლატფორმის* ფარგლებში მომზადებული ანგარიშების საფუძველზე განიხილავენ მიღწეულ შედეგებს და თანხმდებიან სამომავლო პრიორიტეტულ საკითხებზე.

სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმი – Neighbourhood Investment Facility (NIF)

სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმიდან ძირითადად ის პროექტები ფინანსდება, რომლებიც ქვეყნების საერთო ინტერესს წარმოადგენს, მაგალითად, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა და ტრანსპორტი. ევროკავშირმა 2007–2013 წლებისთვის ამ მექანიზმის ფარგლებში 700 მილიონი ევრო გამოყო და სთხოვა წევრ სახელმწიფოებს, თანდათანობით იმავე ოდენობის წვლილი შეეტანათ იმისათვის, რომ გაზრდილიყო სესხების გაცემის შესაძლებლობები.

სამიტები (წელიწადში ორჯერ) – Summits (biannual) არის შეხვედრები აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების (ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები) სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურებს შორის, რომლებიც, როგორც წესი, ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ეს შეხვედრები, საგარეო საქმეთა მინისტრების ყოველწლიურ შეხვედრებთან ერთად, პოლიტიკურ ბიძგს აძლევს პროცესს და აღმოსავლეთ პარტნიორობის წინსვლას უწყობს ხელს.

ფლაგმანი ინიციატივები – Flagship initiatives

აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ურთიერთობის ფორმატის შემადგენელი ექვსი ფლაგმანი ინიციატივა დამატებით სტიმულს, კონკრეტულ შინაარსს და მეტ თვალსაჩინოებას სძენს აღმოსავლეთ პარტნიორობას. ფლაგმანი ინიციატივების წყალობით ხდება სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტიდან დაფინანსების მოპოვება და კერძო სექტორიდან ინვესტიციების მოზიდვა. ფლაგმანი ინიციატივებია:

- *საზღვრის ინტეგრირებული მართვა.*
  ადამიანების მობილურობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, საზღვრის ინტეგრირებული მართვა ეხმარება პარტნიორებს, შეიმუშაონ საზღვრის ინტეგრირებული მართვის მექანიზმები, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანონ საზღვრის მართვის წესები და შეიმუშაონ ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებული მართვის საუკეთესო მექანიზმი. საზღვრის ინტეგრირებულ მართვაში შედის ისეთი სფეროები, როგორიცაა ვაჭრობა, საბაჟო, ვიზები, საზღვრების დემარკაცია, უსაფრთხოება (კონტრაბანდა და ადამიანებით ვაჭრობა) და პანევროპული სატრანსპორტო დერეფნები.

- *მცირე და საშუალო ბიზნესის მექანიზმი*
  ამ მექანიზმის საშუალებით ხდება პარტნიორ ქვეყნებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების როლის გაძლიერება სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების გზით. მექანიზმის ფარგლებში ხდება კონსულტირების, დაფინანსების და ტექნიკური დახმარების გაწევა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესება. მცირე და საშუალო ბიზნესის მექანიზმს ფინანსურ მხარდაჭერას უწევენ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკი. ამ მექანიზმის დაფინანსება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერაცაა შესაძლებელი.

- *ელექტროენერგიის რეგიონული ბაზრები, ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგია*
  ამ ინიციატივის მიზანია ევროკავშირის და აღმოსავლეთ სამეზობლოს ენერგობაზრების ინტეგრირება და მათი გადამცემი ხაზების ურთიერთდაკავშირება, რათა გაიზარდოს ენერგოეფექტურობა, გაუმჯობესდეს მიწოდების ხარისხი და გარკვეული წვლილი იქნეს შეტანილი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით დასახული ამოცანების შესრულებაში.

- *ენერგიის მოწოდების დივერსიფიცირება*
  დივერსიფიცირების მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყაროები და სატრანზიტო გზები და თავიდან იქნეს აცილებული სამომავლო ენერგოკრიზისები. ეს გულისხმობს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას მწარმოებლებს, მომხმარებლებსა და ოპერატორებს შორის ევროპასა და პარტნიორ ქვეყნებში უწყვეტი

ენერგომიწოდების უზრუნველყოფის მიზნით. ეს, ასევე, გულისხმობს პირობების გაუმჯობესებას გრძელვადიანი მიწოდების და შესყიდვის გაუმჯობესებისთვის, სატრანზიტო გარანტიებს და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებას, რაც უფრო მიმზიდველი იქნება მესამე ქვეყნების მომწოდებლებისთვის და ინფრასტრუქტურაში პოტენციური ინვესტორებისთვის.

- *ბუნებრივი და ადამიანის ჩარევით გამოწვეული კატასტროფებისთვის მზადყოფნა, მათზე რეაგირება და პრევენცია*
  ადამიანის ჩარევით გამოწვეული კატასტროფების (წყალდიდობა, ხანძარი, რისკები ჯანმრთელობისთვის, ზღვების/მდინარეების დაბინძურება) და კლიმატის ცვლილების შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ეს ინიციატივა ითვალისწინებს კატასტროფების მართვის უნარის გაზრდას ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია ევროკავშირს (თანამეგობრობის სამოქალაქო დაცვის მექანიზმი) და აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის უფრო ინტენსიური თანამშრომლობით არსებული ინიციატივების ფარგლებში.

- *გარემოსდაცვითი მართვა*
  ეს ინიციატივა გარემოს დაცვის ხელშეწყობას ითვალისწინებს და კლიმატის ცვლილების საკითხებზეა მიმართული. ინიციატივის ფარგლებში ხდება ერთობლივად ბრძოლა დაბინძურებასთან მთელი რიგი საერთაშორისო, რეგიონული თუ ადგილობრივი ღონისძიებების საშუალებით. გარემოსდაცვითი მართვა არის სამთავრობო და არასამთავრობო ინიციატივების და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ ხდება ბუნებრივი რესურსების და გარემოს გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა და შესაძლებლობების გამოყენება, რა ქმედებაა განსახორციელებელი და რა წესები და სანქციები უნდა მოქმედებდეს რესურსებისა და გარემოს გამოყენებისას.

სიგმა - SIGMA (Support for Improvement in Governance and Management - მმართველობის და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობა)

ეს არის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამა, რომელიც 1992 წელს შემუშავდა. ის ძირითადად ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს ისეთი მმართველობის და ადმინისტრაციული სისტემების შექმნაში ეხმარებოდა, რომლებიც განაპირობებდნენ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას კანონის უზენაესობის და დემოკრატიის პირობებში. 2008 წლის თებერვალში პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ცხრა პარტნიორ ქვეყანას მიეცა. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, ეგვიპტე, იორდანია, მაროკო, მოლდოვა, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, ტუნისი და უკრაინა. პროექტის ფარგლებში ხდება ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ექსპერტების ან ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო მოხელეების მიერ გრძელვადიანი და მოკლევადიანი (6 თვემდე) დახმარების გაწევა სამეზობლოს ქვეყნებში ეროვნული რეფორმატორული გეგმების შექმნაში. 2008–2010 წლებში სიგმა–ს პრიორიტეტულ სფეროებად მიჩნეულია ადმინისტრაციული კანონმდებლობა და ადმინისტრაციული

სამართალი, სახელმწიფო ხარჯების მართვა, შიდა და გარე აუდიტი, სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფო სამსახურის რეფორმირება და მარეგულირებელი სფეროს მართვა. პროექტი სიგმა–ს ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობა ,,დაძმობილების" პროექტებთან და ,,ტაიექსთან" არის კოორდინირებული.

,,ტაიექსი" - TAIEX (Technical Assistance and Information Exchange - ტექნიკური დახმარება და ინფორმაციის გაცვლა)
ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მიზნობრივ პოლიტიკას და სამართლებრივ კონსულტირებას *acquis communautaire–თან* საკანონმდებლო დაახლოების მიზნით. ეს კონსულტირება ხდება ევროკავშირიდან ექსპერტის გამოგზავნის საშუალებით, რომელიც ეხმარება პარტნიორი ქვეყნის სამინისტროს ან ადგილობრივ ხელისუფლებას კონკრეტული რეფორმის ამოცანების შესრულებაში.

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა – Cross Border Cooperation (CBC)
ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის კომპონენტის საშუალებით ფინანსდება ერთობლივი პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და პარტნიორი ქვეყნების იმ რეგიონების დაახლოებას, რომლებსაც საერთო საზღვარი აქვთ. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის კომპონენტის ფარგლებში განიხილება რეგიონებისთვის საერთო სირთულეები, როგორიცაა გარე საზღვრების უსაფრთხოება, და ისინი ხელს უწობს ადგილობრივ თანამშრომლობას. ეს კომპონენტი ორი ტიპის პროგრამებს მოიცავს: ორმხრივ პროგრამებს, რომლებიც ერთიან სახმელეთო საზღვარზე (ან მოკლე საზღვაო გადასასვლელზე) ვრცელდება, და მრავალმხრივი პროგრამები, რომლებიც შავი ზღვის აუზს მოიცავს.

უფრო აქტიური თანამშრომლობა – Enhanced cooperation
აღმოსავლეთ პარტნიორობა ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს სთავაზობს უფრო მტკიცე პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას და ისეთ პარტნიორობას, რომელიც ევროპის სამეზობლო პოლიტიკას ეფუძნება, მაგრამ მის ფარგლებში მიღწეულ წარმატებებზე უფრო შორს მიდის.

ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური განვითარების პროგრამა – Comprehensive Institution-Building programme (CIB)
ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის მიზანია, დაეხმაროს თითოეულ პარტნიორ ქვეყანას ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში, უფრო ზუსტად, დაეხმაროს მათ ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაზრდაში. ეს პროგრამები თითოეული პარტნიორი ქვეყნის საჭიროებებზეა მორგებული.

,,შავი ზღვის სინერგია" – Black Sea Synergy (BSS)
ეს არის ევროკავშირის რეგიონული ინიციატივა, რომლის მიზანია შავიზღვისპირეთის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განმტკიცება. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს, აგრეთვე, დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების სტიმულირებას და რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში წვლილის შეტანას. ,,შავი ზღვის სინერგია" კონკრეტულ ინიციატივებს ითვალისწინებს

ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის, საზღვაო მართვის, თევზჭერის, მიგრაციის, ორგანიზებული დანაშაულის, საინფორმაციო საზოგადოების, კულტურული თანამშრომლობისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის სფეროებში. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ახალი პროგრამა მოიცავს შავი ზღვისპირა ქვეყნების ადგილობრივ ხელისუფლებებსაც.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
აღმოსავლეთ პარტნიორობა
http://ec.europa.eu/external_relations/eastern/index_en.htm

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სიტყვარი
www.enpi-info.eu/main.php?id=403&id_type=2